პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 136 (1618) ○ ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 1960 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი, ○ ფასი 80 კაპ.



ლ. იზაშვილი და რ. კუდაშვილი—ჩემპიონები

მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს პირველობის ბოლოსწინა დღეს შეიძლება ვუწოდოთ ფინალური შეხვედრების ტური, რადგან ამ დღეს თითქმის გამოვლინდა ყველა ჩემპიონი.

ქალთა ტურნირში მძაფრ ბრძოლაში ჩაიარა ოსტატების ლ. იზაშვილისა და ე. ხანთაძის შეხვედრამ. ამჯერად იზაშვილმა გამოავლინა ჩინებული თამაში და დაამარცხა საქართველოს ჩემპიონი — 3:0. ნ. კუპრაძის, ა. ტერ-ბალიანისა და ნ. ფერაძის დამარცხებით, იზაშვილმა დაიბრუნა ორი წლის წინ საქართველოს ჩემპიონის დაკარგული სახელი. მეორე ადგილი დაიკავა ე. ხანთაძემ, მესამე — მ. ქვათაძემ.

ვაჟთა ტურნირში წარმატებით ითამაშა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ოსტატმა რ. კუდაშვილმა, რომელმაც ამ დღეს ოთხი გამარჯვება მოიპოვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის შეხვედრას ბათუმელ ვ. ბელიკოვთან. კუდაშვილმა ეს პასუხსაგები შეხვედრა მოიგო ანგარიშით 3:0. ბათუმის მეორე ახალგაზრდა ჩოგბურთელის თ. რამაზაშვილის ასეთივე შედეგით დამარცხებით მან ხელთ იგდო ერთპიროვნული ლიდერობა. მომდევნო დღეს მან დაამარცხა გ. გრიგოლია და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი.

ქალთა წყვილში გაიმარჯვეს ლ. იზაშვილმა და ს. პარფინიდიმ (ბათუმი), რომლებმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ე. ხანთაძე-ნ. უუფარაძე. ვაჟთა წყვილში ჩემპიონობა შეინარჩუნეს ა. არუთინოვმა და დ. ასლანიანმა. ფინალში მათ დაამარცხეს ბათუმელები ვ. ბელიკოვი და თ. რამაზაშვილი. შერეულ წყვილებში უძლიერესთა სახელი დაიმსახურეს მ. ქვათაძემ და ა. არუთინოვმა.

ლ. კვაჟანტირაძე

სურათებზე: საქართველოს 1960 წლის ჩემპიონები. ზევით — ლ. იზაშვილი, ქვევით—რ. კუდაშვილი თამაშის დროს.

ფოტო ა. ეგნატაშვილისა.

სურათებზე: მსოფლიო პირველობა ასუჭრიან შაშში. თამაშობენ შჩეგოლევ-სან ფორტი (ჰაიტი) და კუპერმან-დე ლასკალერი.

„ოქროს წიგნში"

ასუჭრიან შაშში მსოფლიო პირველობის საზეიმო დახურვისას, რომელიც გაიმართა ჰარლემში, საერთაშორისო საშაშო ფედერაციის პრეზიდენტმა ა. ვილიამსმა გამოაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვ. შჩეგოლევი შეტანილია ფედერაციის „ოქროს წიგნში" დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, როცა ვ. შჩეგოლევი შეამკეს დაფნის გვირგვინით და გადასცეს ოქროს მედალი.

შემდეგ ვ. შჩეგოლევს გადაეცა ნიდერლანდების დედოფლის იულიანას მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი — ვერცხლის დიდი მედალი.

კორესპონდენტებთან საუბარში მსოფლიო ჩემპიონმა ვ. შჩეგოლევმა განაცხადა:

— ჩვენი ტურნირი „ბორბლებზე" მიმდინარეობდა, რადგან 26 ტური 22 ქალაქში გაიმართა, რისთვისაც თვითეულმა ჩვენგანმა 3 ათასი კილომეტრი განვლო. ჰოლანდიაში შაში დიდად პოპულარულია, ძნელია ნახო ისეთი ოჯახი, სადაც მას არ თამაშობდნენ. სკოლებში ასწავლიან თამაშის თეორიას. აი ამიტომ ჩვენ გვიხდებოდა ყველა ჰოლანდიელის ინტერესის დაკმაყოფილება, რაც ადვილი როდი იყო.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სენეგალელმა ზანგმა გროსმაისტერმა ბაბა სიმ, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონადაც ითვლება.

ჩვენი ტურნირი საუცხოოდ იყო ორგანიზებული. შენობა, სადაც იგი მიმდინარეობდა, ყოველთვის გაჭედილი იყო მაყურებლებით, როგორც წესი, ყოველ ტურს ესწრებოდა ქალაქის მერი.

საერთაშორისო საშაშო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მომავალ წელს მე უნდა შევხვდე ი. კუპერმანს მატჩ-რევანშში, ხოლო 1964 წელს ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება მსოფლიოს მეხუთე პირველობა.

საბჭოთა ფრენბურთელებს—ოქროს მედლები

ბრაზილიის დედაქალაქში, რიოდე-ჟანეიროში დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში. საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდმა უკანასკნელ ტურში დაამარცხა ბრაზილიის გუნდი ანგარიშით 3:1 (13:15, 15:9, 15:5, 15:6) და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. გამარჯვებულ კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ოქროს მედლები. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ნაკრებმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი. პირველად მან ამ წარმატებას 1952 წელს მოსკოვში მიაღწია, ხოლო მეორედ — ოთხი წლის შემდეგ პარიზში.

საბჭოთა კავშირის ფრენბურთელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ტურნირი და მოიგეს ყველა 6 შეხვედრა, მათ შორის ჩეხოსლოვაკიასთან, პერუსთან, პოლონეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან და ბრაზილიასთან. მსოფლიო პირველობაში ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ა. ჩუდინა, მ. ერემეევა, ა. რიჟოვა, ლ. ბოლდირევა, ა. კრაშენინიკოვა, ლ. სტრელნიკოვა, ლ. კონოვალოვა, ლ. ბულდაკოვა, ვ. ვარკევიჩი, ა. ვოლოდინა, ს. პლისმანე, ლ. მიხაილოვსკაია, გუნდის მწვრთნელები იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. იაკუშევი და ს. კუნდრენკო.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩემპიონატში იაპონიის ფრენბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც მოუგო გადამწყვეტი მატჩი ჩეხოსლოვაკიის ანგარიშით — 3:1 და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, ხოლო მეოთხეზე — პოლონეთის ნაკრები.

ვაჟთა ტურნირის უკანასკნელი მატჩი იყო საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრა, რომელიც ჩვენი ფრენბურთელების გამარჯვებით დამთავრდა (3:1). ამრიგად, ვაჟთა შორისაც მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტული საბჭოთა ფრენბრუთელებმა მოიპოვეს (მწვრთნელი გ. ახვლედიანი).

შეივსო გათამაშების ცხრილი

15 ნოემბერს რიგის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 1960 წლის ჩემპიონატი. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ო. ტომსონმა ჩემპიონატის მონაწილენი მიიწვია კენჭისყრაზე. გათამაშების ცხრილი ასეთი თანმიმდევრობით შეივსო.

1. ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი), 2. ოსტატი ფ. დმიტრიევა (ლენინგრადი), 3. ოსტატი ა. კუშნირი (მოსკოვი), 4. საერთაშორისო ოსტატი ო. რუბცოვა (მოსკოვი), 5. საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა (მოსკოვი), 6. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (სვერდლოვსკი), 7. საერთაშორისო ოსტატი ს. როოტარე (ტალინი), 8. ა. ჩაიკოვსკაია (ბათუმი), 9. საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა (მინსკი), 10. ვ. კაუშილაიტე (ვილნიუსი), 11. ტ. ფილანოვსკაია (სვერდლოვსკი), 12. ე. კაკაბაძე (თბილისი), 13. ა. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 14. მ. ტოგონიძე (თბილისი), 15. ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), 16. ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), 17. ტ. კრიუკოვა (კიევი), 18. ა. ვატკოვსკაია (ვინიცა), 19. საერთაშორისო ოსტატი ლ. ვოლპერტი (ლენინგრადი).

მონაწილეებს გამოეცხადა, რომ პირველ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე დაჯილდოვდება ჩემპიონის ოქროს მედლით, ხოლო პირველ სამ ადგილებზე გამოსული მოჭადრაკე, ლ. ვოლპერტისა და კ. ზვორიკინას გარდა, დაიშვება მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან მატჩისათვის გამოსავლინებელ პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც გაიმართება იუგოსლავიაში.

გ. ჩიქვანაია—7, პ. მშვენიერაძე—5

ოლიმპიური თამაშების შედეგების მიხედვით შედგა მსოფლიოს უძლიერეს წყალბურთელთა სია, რომელშიც შევიდნენ: **თავდამსხმელთა შორის** — ლავორატორი და პარმეჯინი (იტალია), მშვენიერაძე და გრიგოროვსკი (სსრკ), დემეტერი, რუშორანი, ფელკაი (უნგრეთი) და სანდიჩი (იუგოსლავია). აღსანიშნავია, რომ პარმეჯინმა მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანა 6 ბურთი, ფელკაიმ — 6, ლავორატორიმ — 4, დემეტერმა — 9, მშვენიერაძემ — 5, სანდიჩმა — 4, რუშორანმა — 4, გრიგოროვსკიმ—2.

ნახევარმცველთა შორის თავი გამოიჩინეს: კურენოიმ (სსრკ) — 9 ბურთი, კარტაშოვმა (სსრკ) — 5 ბურთი, პიცომ (იტალია) — 7 ბურთი.

დაცვაში სპეციალისტები უძლიერეს წყალბურთელებად აღიარებენ — ჩიქვანაიას (სსრკ) — 7 ბურთი, დალტრუის (იტალია) — 1 ბურთი, დიარმატის (უნგრეთი) — 4 ბურთი, ჰევეშის (უნგრეთი) — 1 ბურთი, კაჩიჩს (იუგოსლავია) — 4 ბურთი.

ჩემპიონატი გაიმართება ბაქოში

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში პირველად 1947 წელს ჩატარდა. მას შემდეგ იგი ეწყობა ხან რესპუბლიკების, ხან კი სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ კოლექტივებს შორის. მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის და სხვა რესპუბლიკების გუნდებთან ერთად, საკავშირო ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეა საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები, რომელიც თავისი სპორტული მაჩვენებლებით არასდროს არ გაცილებია პრიზიორთა რიგებს.

საქართველოს მოჭიდავეები ოთხჯერ იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო თასის მფლობელები, სამჯერ მეორე და ორჯერ მესამე ადგილებზე. 1953 და 1954 წლებში გუნდური პირველობა სპორტულ საზოგადოებებს შორის გაიმართა. ქვემოდ მოგვყავს საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობების შედეგები ყველა 11 ჩემპიონატის მანძილზე:

1947 წელი — 1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. მოსკოვი, 1949 წელი — 1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. აზერბაიჯანი, 1950 წელი — 1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. რსფსრ, 1952 წელი — 1. საქართველო, 2. რსფსრ, 3. მოსკოვი, 1953 წელი — 1. საქართველო, 2. მოსკოვი, 3. რსფსრ, 1953 წელი — 1. „დინამო" 1, 2. „სპარტაკი", 3. „დინამო" II, 1954 წელი—1. „დინამო I, 2. „სპარტაკი", 3. „ისკრა", 1955 წელი— 1. საქართველო, 2. აზერბაიჯანი, 3. უკრაინა, 1957 წელი — 1. საქართველო, 2. უკრაინა, 3. ლენინგრადი. 1958 წელი — 1. რსფსრ, 2. უკრაინა, 3. საქართველო. 1959 — წელი — 1. რსფსრ, 2. უკრაინა, 3. საქართველო.

მიმდინარე წლის საკავშირო პირველობა ტარდება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში. მასში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი კოლექტივები. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას ამ შეჯიბრებაში ცნობილ მოჭიდავეებთან ერთად ახალგაზრდებიც დაიცავენ. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არიან: ცალქალამანიძე, შეყრილაძე, არსენიანი, მჭედლიშვილი, რუბაშვილი, გვიმრაძე, კორძაძე, ბალავაძე, სალარაძე, ბერუაშვილი, სხირტლაძე, დავლიანიძე, ლომიძე, გოგიბედაშვილი, კანდელაკი, ბათლიძე. გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე. ჩემპიონატი დაიწყება 19 ნოემბერს და გასტანს 22 ნოემბრამდე.

სად არის რეზერვი?

საქართველოს ძალოსნურმა სპორტმა უკანასკნელ წლებში ერთგვარი ნაბიჯი გადადგა წინ. თუ კი ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა, მომდევნო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ძალოსნები მეექვსე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ. რეკორდების ცხრილში მრავალი შედეგი ალემატება სპორტის ოსტატის ნორმას, წარმატება მოიპოვა სპორტის ამ სახეობის ვეტერანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა, რომელიც უძლიერესი იყო სსრ კავშირის 1960 წლის პირველობაზე ქვემსუბუქ წონაში.

მაგრამ ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ ჩვენთან ამ მიმართებით ყველაფერი რიგზეა, სისტემატურად წინ მიდის და ვითარდება სპორტის ეს სახეობა. პირველყოვლისა შესამჩნევია ძალოსნობის ნაკლები პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის, რის გამო ჩვენს წამყვან სპორტსმენებს არ ჰყავს შემცვლელი ნიჭიერი ახალგაზრდობა, რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივი არ ივსება კარგი მომავლის მქონე ძალოსნებით. ამის მთავარი მიზეზი ჩვენის აზრით ის არის, რომ ჩვენთან სუსტად მუშაობენ, შეიძლება ითქვას უმოქმედობენ, ძალოსნობის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო სპორტის ამ სახეობის რესპუბლიკური ფედერაცია იმის მაგივრად, რომ იზრუნოს მძლავრი რეზერვის აღზრდისათვის, გატაცებულია მხოლოდ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში რესპუბლიკური ნაკრები გუნდის სპორტსმენთა მომზადებით, ამიტომ ხდება, რომ ახალგაზრდობასთან არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს.

არც ისე დიდი დრო დარჩა ხალხთა III სპარტაკიადის დაწყებამდე, რომელშიც სხვა სახეობების სპორტსმენებთან ერთად საქართველოს ძალოსნებმაც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წარმატებაში, ამას კი მაშინ მივაღწევთ, როცა ჩვენს წამყვან სპორტსმენებს ეყოლება ძლიერი რეზერვი.

ამისათვის საჭიროა განახლდეს ძალოსნური სექციის მუშაობა თბილისის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში, რომელმაც გასულ წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაღალი თანრიგის ძალოსნების მომზადებაში. ამასთან ერთად მსგავსი სექციები უნდა ჩამოყალიბდეს რაიონულ სპორტულ სკოლებთან. თითქოს კარგა ხანია ცნობილია, დაკვირვებების შედეგად ძალოსნობა დადებით გავლენას ახდენს ნორჩი სპორტსმენების ორგანიზმზე. ამის შესახებ არსებობს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის სპეციალური გადაწყვეტილება „მოზარდთა და ჭაბუკთა შორის ძალოსნობის განვითარების შესახებ". არის მეთოდური სახელმძღვანელოებიც. ამის მიუხედავად ზოგიერთი სკეპტიკოსი მაინც აღმაცერად უყურებს ბავშვების სპორტის ამ სახეობის დანერგვას.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს საკითხი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ძალოსნური სპორტის განვითარების შესახებ. ისეთ ქალაქებში, როგორიც არის სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, სტალინირი მუშაობა ამ მიმართებით ტარდება ეპიზოდურად. ზემოჩამოთვლილ ქალაქებში არ არის ძალოსნობის სპეციალური დარბაზები, ინვენტარი, რის გამო ამ სახეობის სპორტის მოყვარულები ვარჯიშობენ არანორმალურ პირობებში, უკეთესი მდგომარეობა არც სპორტულ საზოგადოებებშია, შეჯიბრებები ტარდება იშვიათად და ისიც უინტერესოდ.

თუ ზემოაღნიშნული მდგომარეობა უახლოეს ხანში არ გამოსწორდა, თუ ძალოსნობის ფედერაცია და სექციები ამ საქმეს მთელი გულით არ მოჰკიდებენ ხელს, ჩვენ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებზე წარმატებას ვერ მოვიპოვებთ.

დ. კაპცოვი,
სპორტის ოსტატი.

რატომ არ არის ჭაბუკთა ჯგუფები

ძალოსნობაში ადრეული სპეციალიზაციის საკითხი საკმაოდაა შესწავლილი. ლენინგრადში, მოსკოვში, უკრაინასა და რუსეთის ქალაქებში ჩამოყალიბებულია ჭაბუკ ძალოსანთა ჯგუფები, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ამ საქმეს ჯერ კიდევ გვერდს უვლიან და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სათანადო რეზერვის სიმცირე, რომელსაც ჩვენი ძალოსნები განიცდიან, სწორედ ამის მიზეზითაა გამოწვეული.

საქართველოში საკმაოდ ფეხმოკიდებულია ის აზრი, თითქოს ძალოსნობა ანელებს ან აჩერებს ორგანიზმის ზრდას, იწვევს ხერხემლის გამრუდებას და საერთოდ უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის ფორმირებაზე. ძალოსნობაზე ასეთი შეხედულება იმ დროს ეკუთვნის, როცა არ იყო სპორტის ცალკეული სახეობები მეცნიერულად შესწავლილი, როცა არ არსებობდა სამედიცინო კონტროლი და სპორტული წვრთნა არ იყო მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული.

ამ აზრის მცდარობა დღეისათვის მეცნიერულად დამტკიცებულია. ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ფაქტებს. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. კოშელევმა და სპორტის ოსტატმა ა. ფალამეევმა ლენინგრადში ჩამოაყალიბეს 14-15 წლის ასაკის ბავშვთა ჯგუფი, რომელიც ამავე დროს იმყოფებოდა პროფ. ა. კურაჩენკოვის სამედიცინო კონტროლის ქვეშ.

საცდელი მეცადინეობის შედეგად გამოირკვა, რომ ჭაბუკები სამჭიდის მოძრაობათა ტექნიკას კარგად ეუფლებიან. მომეცადინეთა ტექნიკური შედეგები წლის განმავლობაში 45-50 კილოგრამით გაიზარდა. სისტემატური დაკვირვებისა და სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა ძალოსნობაში ვარჯიშის კეთილი გავლენა ორგანიზმზე. აღნიშნული ჯგუფის მომეცადინეებმა წლის განმავლობაში საშუალოდ 4-5 კგ-ით მოიმატეს, ხოლო სიმაღლეში — 5-7 სმ. ჯანმრთელობის გაუარესებას ადგილი არ ჰქონია. მოზარდის ორგანიზმის ასეთი განვითარება სრულიად შეესაბამება ორგანიზმის ზრდის ბიოლოგიურ ნორმებს.

ძალოსნობაში ადრეულ ასაკში ვარჯიშის დაწყების მიზანშეწონილობას ამტკიცებს არა მარტო მეცნიერული კვლევა, არამედ პრაქტიკული გამოცდილებაც. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი გამოჩენილ ძალოსანთა ცხოვრებიდან, რომლებმაც ვარჯიში დაიწყეს ადრეულ ასაკში და უმაღლეს მწვერვალებს მიაღწიეს. ამერიკელებმა ჯორჯმა, ტერპაკმა, შეპარდმა, კონომ, ანდერსენმა ძალოსნობაში ვარჯიში დაიწყეს 9-14 წლის ასაკში. ჩვენი ძალოსნებიდან ქართველიშვილმა სპორტის ოსტატმა გალოიანმა და კაცობაშვილმა სიმძიმეების აწევა დაიწყეს 13-14 წლის ასაკში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე არსებობს აზრი, თითქოს ძალოსნობაში ვარჯიში ხელს უშლის ორგანიზმის ზრდას და ამის დასტურად მიუთითებენ იმაზე, რომ ძალოსანთა უმეტესობა დაბალი ტანისაა. რომ ეს შეხედულება მცდარია, ამაზე თვით პრაქტიკა მეტყველებს. კუცენკო, ამბარცუმიანი, სუხარევი, ვლასოვი, მედვედევი, გოლშტეინი, დევისი, სტანჩიკი, ტერპაკი, ჩამსი, ქართველიშვილი, ბაზაძე, მინასიანი, გალოიანი და მრავალი სხვა მაღალი ტანისანი არიან და მათი ორგანიზმის ზრდისათვის ძალოსნობაში ვარჯიშს ხელი არ შეუშლია.

მოვუსმინოთ რას წერს პროფ. კურაჩენკოვი ძალოსნობის ტანადობის შესახებ: „ძალოსანთა დაბალი სიმაღლე განპირობებულია არა სპორტული მეცადინეობების ზეგავლენით, არამედ ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებით, რომელსაც ითვალისწინებს მწვრთნელი და ხელმძღვანელობს მოვარჯიშეთა შერჩევის დროს".

ე. ი. ძალოსანის დაბალი ტანი იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მისი ორგანიზმის ზრდა შტანგამ შეაფერხა. ეს თვით სპორტის ამ სახეობის სპეციფიკური თავისებურებითაა განპირობებული. წარმატების მიღწევა ძალოსნობაში დაბალი ტანის სპორტსმენისათვის შედარებით იოლია, ვიდრე მაღალი ტანის სპორტსმენისათვის.

ამრიგად, ის ვერსია, რომ ძალოსნობაში ადრეულ ასაკში ვარჯიშის დაწყება უარყოფითად იმოქმედებს მოზარდის ჯანმრთელობაზე, ვერ უძლებს კრიტიკას.

თუ ჩვენ გვინდა საქართველოს ძალოსანთა წარმატებების ხილვა საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში, საჭიროა ძალოსნობაში მოზარდთა ჩაბმა, ჭაბუკთა ჯგუფების ჩამოყალიბება. რასაკვირველია, მათთვის საწვრთნელი მეცადინეობა სპეციალურად უნდა იქნას ორგანიზებული და პროგრამებიც სათანადოდ უნდა შემუშავდეს.

როცა ვლაპარაკობთ ძალოსნობაში ადრეულ სპეციალიზაციაზე (14 წლის ასაკიდან) უპირველესად მხედველობაში გვაქვს ის ამბავი, რომ მეცადინეობის ამ პერიოდში ძირითადი ყურადღება უნდა გავამახვილოთ დამწყებ სპორტსმენთა ზოგადი ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებაზე. ამ მიზნით საწვრთნელ მეცადინეობებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ზოგად ფიზიკურ განმავითარებელ ვარჯიშებს (ძირითადი ტანვარჯიში, თამაშები, ტურიზმი და სხვ.), ამასთან სწავლების ამ ეტაპზე მთავარი ყურადღება სპეციფიკურ ვარჯიშებიდან საჭიროა აქცენტირებულ იქნას ძალოსნური სამჭიდის მოძრაობათა ტექნიკის შესწავლასა და განმტკიცებაზე, ვინაიდან ამ ასაკში მოზარდებს შესწავლისა და ათვისების უნარი უკეთესი აქვთ და ტექნიკასაც სწრაფად ითვისებენ. როცა მოზარდის ზოგადი ფიზიკური მომზადება განმტკიცდება და საკმაოდ აითვისებს სამჭიდის მოძრაობათა ტექნიკას, მწვრთნელს შესაძლებლობა მიეცემა მეტი ყურადღება დაუთმოს ძალისა და სხვა აუცილებელი ფიზიკური თვისებების განვითარებას. შემდგომში ყურადღების გადატანა საჭიროა ძალისმიერ ვარჯიშებზე, ხოლო 16-17 წლის ასაკში შეიძლება მაღალ დატვირთვათა მიცემა.

საერთოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძალოსნობაში ადრეული სპეციალიზაციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის დაწვრილებით შესწავლილი და მოითხოვს შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას, მაგრამ ჭაბუკების ძალოსნობაში ჩაბმას ეს ხელს არ უშლის. ცხადია, რომ ძალოსნობაში ადრეული სპეციალიზაციის დანერგვა აუცილებელია და დროა მას სათანადო ყურადღება მიექცეს.

შ. ბუაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის მასწავლებელი.

ღირსეული სასჯელი

სოფლის ძალოსანთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე რ. დათიკაშვილმა ჩაიდინა სპორტსმენისათვის უღირსი საქციელი — მსაჯის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა არად ჩააგდო გუნდის ინტერესები და დაკავებული საპრიზო ადგილისათვის მიღებული სიგელი დახია. ეს საკითხი ამას წინათ განიხილა ძალოსნობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ. აქ აღინიშნა, რომ ამ ფაქტში მთლად უდანაშაულო არც ძალოსანთა ფედერაციაა. დათიკაშვილს წლების მანძილზე ახასიათებდა ქედმაღლობა, თავშეუკავებლობა, მსაჯებთან კამათი, უდისციპლინობა, მაგრამ მისი ასეთი საქციელის გამო საჭირო ზომები თავის დროზე არ ყოფილა მიღებული. სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა გ. ჩიკვაიძემ, ვ. სამსონაძემ, კ. ზაუტაშვილმა, ვ. კუხიანიძემ და სხვებმა სასტიკად გაკიცხეს დათიკაშვილის საქციელი და მოითხოვეს მისი დასჯა.

ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება: სპორტსმენისათვის უღირსი საქციელისათვის რ. დათიკაშვილს მოეხსნას საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის საპატიო წოდება და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

წერილი რედაქციას

ლუცკში ჩემი საქციელით ჩრდილი მივაყენე როგორც გუნდს, ისე სპორტულ საზოგადოებას, რომელმაც მე აღმზარდა. დანაშაულის სიმძიმე შეგნებული მაქვს. პირობას ვდებ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე, რომ ენერგიული წვრთნით და სანიმუშო მოქცევით კვლავ გავხდე სპორტის ოსტატის სახელის ტარებისა და კოლექტივის სიყვარულის ღირსი.

რ. დათიკაშვილი



ნოემბერი

18—19—20

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი

საქართველოს პირველობა ძალოსნობაში

დასაწყისი დილის 11 საათზე.
საღამოს 18 საათზე.

წლევანდელ სეზონში დიდ წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა, მათ გაიმარჯვეს „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდების II ზონის ტურნირში, მოიგეს შეჯიბრება I ზონის გამარჯვებულთან — თბილისის „ლოკომოტივთან" და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს ტურნე ავლანეთში.

ამას წინათ ქუთაისის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო თავის საუკეთესო გუნდს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ბურჯანაძემ. საინფორმაციო სიტყვით გამოვიდა „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი უ. სალდაძე.

ფეხბურთელებს სიტყვებით მიმართეს ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა და სკოლების წარმომადგენლებმა. საღამომ მეტად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

* * *

სურათზე: კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ბურჯანაძე (მარცხნივ) გადასცემს სიგელს „ტორპედოს" გუნდის კაპიტანს მ. ანთიძეს.

ფოტო და ტექსტი ლ. ფაჩუაშვილისა.

ქალაქებსა და რაიონებში

სიღნაღი

ამ დღეს გრძელდებოდა სიღნაღის „სპარტაკის" რაიონული საბჭოს საიუბილეო სპარტაკიადა, რომელთა პროგრამაში იყო სპორტის ხუთი სახეობა.

სპარტაკიადაში გაიმარჯვა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივმა.

არანაკლებ საინტერესოდ მიმდინარეობდა სიღნაღის „განთიადის" რაიონული საბჭოს სპარტაკიადა, რომელიც აგრეთვე სპორტის ხუთ სახეობაში ჩატარდა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა.

ნ. მღებრიევა

ბოლნისი

ბოლნისის სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს რაიონის პირველობას ფეხბურთსა და ფრენბურთში. ამას წინათ შეჯამდა პირველობის შედეგები. ფეხბურთელთა ტურნირში, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობდა, პირველი ადგილი დაიკავა „კოლმეურნის" ფეხბურთელთა გუნდმა.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში ერთმანეთს ეცილებოდა ვაჟთა 8 და ქალთა 6 გუნდი. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა „კოლმეურნეს" კოლექტივი, ხოლო ვაჟთა შორის— ბოლნისის რუსული საშუალო სკოლის გუნდი.

ზ. ყურაშვილი

მახარაძე

მახარაძის სპორტულ დარბაზში რამდენიმე დღეს არ ცხრებოდა თავისუფალ ჭიდაობის მოყვარულთა ყიჟინი. ისინი გატაცებით ადევნებდნენ თვალს ქართული ჭიდაობის პირველობას, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის ოსტატ ჯ. ალიევისა და პირველთანრიგოსან ქ. შავგულიძის ორთაბრძოლამ. მწვავე შეხვედრა ქულებით მოიგო შავგულიძემ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ზ. ჯიბრიაშვილი, რ. მორჩილაძე, ჯ. მამალაძე, ქ. შავგულიძე, შ. პოპოვი, ზ. ქინქლაძე, ა. ლომაძე, ი. ლომაძე.

ტ. მდინარაძე

ვერავითარი ძალა წინ ვერ აღუდგება

რომის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებით გამოვიდა გერმანიის გაერთიანებული გუნდი. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები ერთ ოჯახად შეიკრენ და ერთიანი ძალით იბრძოდნენ გერმანული სპორტის გამარჯვებისათვის. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, რომის ქუჩებში მეგობრულად, ხელიხელგადახვეულები დადიოდნენ ისინი, ერთადაც ცხოვრობდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ოლიმპიადის შემდეგ ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდებოდა, გერმანიის ორივე მხარის სპორტსმენები ხშირად შეხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

რაც დრო გადის, მით უფრო აბუჩად იგდებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტის საქმოსნები. ამაში ტონის მიმცემი ადენაუერის მთავრობაა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუშალოს გდრ-ს სპორტსმენებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო შეხვედრებში.

ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა მოეწყო ევროპის ზონის საჭადრაკო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატის შესარჩევად. ამ ტურნირის ერთ-ერთ მონაწილეს გროსმაისტერ ვ. ულმანს (აღმოსავლეთ გერმანია) უარი ეთქვა ჰოლანდიაში ჩასვლაზე. გამოირკვა, რომ გფრ-ს ხელისუფლებმა ვ. ულმანს აუკრძალეს თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით ჰოლანდიაში გამგზავრება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს სხვა ქვეყანაშიც ჩასვლაზე უთხრეს უარი. ჰოკეისტებს და ფეხბურთელებს — ინგლისში, ფიგურული სრიალის ოსტატებს — საფრანგეთში და სხვ.

მაგრამ ამის მიუხედავად, იმ საქმოსანთა ყოველი ცდა, რომელიც ხელს უშლიან სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა მეგობრული ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეს, მიზანს ვერ მიაღწევს. ოლიმპიური იდეა იყო და სამარადისოდ დარჩება სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის იდეად და ვერავითარი ძალა წინ ვერ აღუდგება.

ორი მატჩი

შედგა ორი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. კიპროსისა და ისრაელის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო ტუნისის ფეხბურთელებმა დაამარცხეს მაროკოს ნაკრები — 2:1.

„იმერეთი"— საქართველოს ჩემპიონი

15 ნოემბრის მატჩს ქუთაისის „იმერეთსა" და ტყიბულის „მეშახტეს" შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის. ეს იყო ტყიბულელთა პირველი თამაში ფინალურ ჯგუფში და მისი მოგება ჩემპიონობისათვის ბრძოლის გზას ხსნიდა მათთვის, ხოლო „იმერეთი" გამარჯვების შემთხვევაში ქულათა მაქსიმუმით იგებდა საქართველოს 1960 წლის ჩემპიონის წოდებას ფეხბურთში.

მატჩი ქუთაისელთათვის არასახარბიელოდ დაიწყო. მცველებმა დროზე ვერ მისცეს რეაქცია მარცხენა ფრთიდან მოწოდებულ ბურთს, იგი მიიღო „მეშახტის" მარჯვენა გარემარბმა ელიაშვილმა და უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან პირდაპირ ხელებში მიაწოდა მეკარეს ბურთი. მცირე ხანს შემდეგ ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ტყიბულელთა ცენტრალური თავდამსხმელი სირაძე, მაგრამ მან კარში დარტყმის ნაცვლად მოწინააღმდეგე მცველებს გადააწოდა ბურთი.

მე-17 წუთზე ანგარიში გაიხსნა. სირაძემ შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო და გაიტანა გოლი — 1:0. „მეშახტის" ფეხბურთელებს საკმაოდ დამაჯერებლად ეპყრათ ინიციატივა ტაიმის დასასრულამდე, ისინი მოქმედებდნენ დიდი მონდომებით, ყურადღებით ანაწილებდნენ ბურთებს და არ აძლევდნენ მოწინააღმდეგე თავდამსხმელებს კომბინაციური თამაშის გაშლის საშუალებას. რამდენიმე მომენტი, რომლებიც შეიქმნა „იმერეთის" კართან, არ იქნა გამოყენებული.

მხოლოდ შესვენების წინ შეძლეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა კონტრშეტევაზე გადასვლა და ეს მოულოდნელი, სწრაფი იერიში საუკეთესოდ გატანილი გოლით დაამთავრა პატარაიამ (№ 9) — 1:1.

მეორე ტაიმი მთლიანად განსხვავდებოდა პირველისაგან. „იმერეთის" ფეხბურთელებმა პირველი წუთებიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში არ გაუშვიათ იგი ხელიდან. მცველებმა დაამყარეს საჭირო კონტაქტი ერთმანეთს შორის, ნახევარდაცვამ გადაიწია წინა პოზიციაზე და საიმედო ზურგი შეუქმნა თავდასხმას, სადაც, როგორც იქნა მთელი ძალით ათამაშდა მისი ყველა წევრი. ქუთაისელებმა ამ პერიოდში აჩვენეს ჩემპიონისათვის შესაფერისი კოლექტიური, ტაქტიკურად გამიზნული, ტემპიანი თამაში. პირველ წარმატებას ქუთაისელებმა მიაღწიეს უკვე მე-6 წუთზე (გოლი გაიტანა კვიმსაძემ), ხოლო შემდეგში ავალიანმა და პატარაიამ საბოლოოდ განამტკიცეს თავიანთი მეგობრების მონდომებული ბრძოლა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის. საბოლოოდ, ეს გადამწყვეტი მატჩი ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 4:1.

საქართველოს ახალი ჩემპიონი— ქუთაისის „იმერეთი" წარმოადგენს ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის კოლექტივს, რომელიც სულ სამიოდე წელია რაც არსებობს. გუნდის შექმნასა და ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, დირექტორმა გ. რუხაძემ, ს. ნინუამ და სხვებმა. რესპუბლიკის პირველობაზე მეორე ჯგუფში გამარჯვების შემდეგ „იმერეთი" გადავიდა უძლიერესთა შორის. ენერგიული წვრთნის, სისტემატური მზადებისა და გუნდის სტაბილური შემადგენლობის გულმოდგინე შერჩევის შედეგად კოლექტივმა მიაღწია ესოდენ დიდ წარმატებას. „იმერეთის" წევრები გამოირჩევიან საქმისადმი სერიოზული მოპყრობით. მაღალი დისციპლინით ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულებით. კოლექტივს უნარიანად ხელმძღვანელობს მისი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. კილაძე.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის დირექცია ამჟამად აშენებს საკუთარ სტადიონს, სადაც გუნდს საშუალება ექნება შეუფერხებლად აწარმოოს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. გარდა ამისა, „იმერეთი" საშეფო წესით აიყვანს ქალაქის რამდენიმე სკოლას და ნაყოფიერ მუშაობას გაშლის საკუთარი კადრების აღსაზრდელად.

რესპუბლიკის ჩემპიონობა ქუთაისის „იმერეთის" სერიოზული და დამსახურებული წარმატებაა.

რ. ქორიძე

ისევ თბილისელთა გამარჯვებით

კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს გუნდური პირველობის ორგანიზატორები შეჯიბრებაზე ერთი, მაქსიმუმ ორი გუნდის გამოუცხადებლობას ვარაუდობდნენ იმ რაიონებიდან, სადაც სათანადოთ ინერგება სპორტის ეს სახეობა. შეჯიბრების გახსნის დროისათვის კი აღმოჩნდა, რომ სამხრეთ ოსეთის, გორის, რუსთავის, ტყიბულის, საგარეჯოს სპორტკავშირთა საბჭოებმა თავი არ შეიწუხეს გუნდების დაკომპლექტებისა და მოვლინებისათვის. წყალტუბოელებმა კი 6-კაციანი გუნდი გამოგზავნეს და მათგან ორმა ვერ დაიცვა წონა.

ქვე, პირველობას, რომელიც სოხუმში ჩატარდა შემორჩა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, სამგორის, მახარაძისა და ჭიათურის კოლექტივები, მიუხედავად ამისა, ბრძოლა გამარჯვებისათვის თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. პირველად ხალიჩაზე გამოვიდნენ აჭარისა და მახარაძის გუნდები. ამ უკანასკნელებს აკლდათ ორი ძლიერი სპორტსმენი და მაინც შეძლეს სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ აჭარელი მოჭიდავეებისათვის. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო სპორტის ოსტატ ი. ტულუშის (ბათუმი) და ახალგაზრდა ა. ლომაძის შეხვედრა. ოსტატმა მხოლოდ მინიმალურ უპირატესობას მიაღწია და გაიმარჯვა. მატჩი მოიგეს ბათუმელებმა — 5:3.

აჭარის გუნდთან დამარცხებისათვის მახარაძელებმა რევანში აიღეს ჭიათურის მოჭიდავეებთან შეხვედრაში — 4,5 : 3,5. მეორე წრიდან საპრიზო ადგილისათვის მებრძოლთა რიგებს გამოეთიშნენ მახარაძის, ჭიათურისა და სამგორის გუნდები და ახლა ისინი მომდევნო ადგილებისათვის იბრძოდნენ, რაც შეეხება ფინალისტებს, აქ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დაძაბულ შეხვედრებს. მართალია, ქუთაისელებმა ყველა რვა შეხვედრაში აჯობეს ბათუმელებს, მაგრამ ვერცერთი სუფთა გამარჯვება ვერ მოიპოვეს.

თბილისის გუნდთან შეხვედრაში აფხაზეთის მოჭიდავეებმა შეძლეს სამი შეხვედრის თავიანთ სასარგებლოდ დამთავრება, ხოლო ხუთში უპირატესობა თბილისელ სპორტსმენებს დაუთმეს და დამარცხდნენ — 3 : 5. ყველაზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა აჭარისა და აფხაზეთის გუნდების მატჩი. ფაქტიურად ამ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა აფხაზეთისა და სამგორის გუნდების შეხვედრის დროს აფხაზეთის გუნდის წევრის სპორტის ოსტატ ფ. შამუგიას მიერ ხელის დაზიანებამ. შემცვლელი სრულფასოვანი არ აღმოჩნდა, შეხვედრა მინიმალური უპირატესობით — 4,5:3,5 მოიგეს აჭარელმა მოჭიდავეებმა და გაინაღდეს მესამე ადგილი.

ამრიგად პირველი-მეორე ადგილებისათვის ხალიჩას შემორჩნენ თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები. უმჩატეს წონაში ქუთაისელმა გ. ჭეიშვილმა ქულებით სძლია დ. დავითაიას, მაგრამ ო. მელაშვილ-ე. მნაცაკანიანის შეხვედრის ანგარიში გათანაბრდა — 1 : 1 მომდევნო ორმა შეხვედრამ უპირატესობა კვლავ არც ერთ გუნდს არ არგუნა — 2 : 2. საშუალო წონაში ტებილაშვილის და მშობლიური ერემეიშვილის გამარჯვებამ პირველობა მოუტანა თბილისის გუნდს — 5 : 3 და მასთან რესპუბლიკის ჩემპიონის სახელიც. შეჯიბრებაზე ჭიდაობის მაღალი კლასი აჩვენეს თბილისელმა ძნელაძემ, აჭარელმა გოგიჩაშვილმა, ქუთაისელმა სინაურიძემ და ერმიდმა (აფხაზეთი) რომელმაც შეასრულა ოსტატობა. ოსტატობა მოიპოვეს, აგრეთვე საგანელიძემ, ჩარგავაძემ და სხვებმა.

ი. ჩხარტიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ქვესკნელები საიდუმლოებას თმობენ

მდინარე ტყიბულამ უხსოვარ დროში თავი დააღწია „წყალდასავალის" ტაფობის ტყვეობას, გახვრიტა ოკრიბა-არგვეთის ქედი და გაუჩინარდა მარადიულ წყვდიადში. მაგრამ მდინარე დიდხანს ვერ შეურიგდებოდა ტყვეობას და აი ორი კილომეტრის შემდეგ, ის ისევ დაუბრუნდა მზის სინათლეს, სოფელ ძევრში ამოყო თავი. აქედან ის ძევრულას სახელწოდებით მოინათლა. ამ ადგილს ხალხი „ციხეს" უწოდებს. იგი მართლაც წააგავს ბუნებრივ ციხეს. სამი მხრიდან მაღალი კლდეებითაა შემოზღუდული, ხოლო მეოთხედან მთის ციცაბო ფერდობები — „აფიცხებული" საზღვრავს. „ციხის" შესასვლელი გაპობილ კლდეებს წარმოადგენს და ამ ბუნებრივ „ქიშკარში" გამოედინება ტყვეობას თავდაღწეული ძევრულა.

ჩვენი ეპოქა ვერ ითმენს თეთრ ლაქებს და ვერც „წყალდასავალის" უფსკრულები გადაურჩენ სპელეოლოგებს. მითუმეტეს, რომ მღვიმის აბსოლუტური სიღრმე — 300 მეტრი — მნიშვნელოვან პერსპექტივებს შლიდა სიღრმით ჩაღწევაში და ჯურღმულთა საიდუმლოების ამოხსნაში. ამიტომ, აქ სპორტული და კვლევითი ინტერესები ერთმანეთს გადაეჯაჭვნენ.

მაისის დღეებია. ამ სტრიქონების ავტორი და ნოდარ ბუაძე მანქანიდან გადმოვხტით წინწყალას ალმხრთის დასაწყისში. გზა მღვიმისაკენ ყანებზე გადის. ჩვენ მდუმარე კლდეების ძირში ვდგავართ. ჩრდილოეთით, „ზღვის" ფსკერზე ისახება ასხის, ხვამლისა და ცხრაჯვარის მთების კონტურები. ყველა ეს მასივები მოელიან თავიანთ მკვლევარ-სპელეოლოგებს. ჩვენი არჩევანი ჯერჯერობით ოკრიბა-არგვეთის ქედზეა.

ვიწყებთ კარსტული ძაბრების მეთოდურად შესწავლას. ჩვენს წინ მდინარის მშრალი კალაპოტია, რომელიც კლდეებში შედის, მაგრამ შესასვლელები შლამს ამოუვსია და პატარა ხვრელები ჩვენთვის დაკეტილი აღმოჩნდა. გადავედით მდინარის ძირითად კალაპოტში. აქ, კლდის ძირში, პატარა ტბა დამუგარა, საიდანაც წყალი უხილავად უჩინარდება. ეს არის მდინარის მიწისქვეშა ხეობის დასაწყისი, მაგრამ საიდან უნდა შევიდეთ ჩვენ? ეტყობა, უტყვი კლდეები თავის საიდუმლოებას უბრძოლველად არ დაგვითმობენ. ჩვენი ყურადღება კლდის თავზე ზემოდან დაშვებულმა ძაბრმა მიიპყრო. ძაბრი ამჟამად მშრალია, მაგრამ ოდესღაც იქიდან ჩანჩქერი ჩამოდიოდა. სად მიდიოდა ზემოდან ნატყორცნი წყალი? კლდის თავზე ქვები ვისროლეთ; ქვა არ შეჩერებულა, იგი სადღაც ხმაურით ჩაეშვა. ავცოცდით შვეული კლდის თავზე. ჩვენს წინაშე ჰაა, რომლის ძირში ტბა დგას, ხოლო ტბიდან ძალზე ვიწრო ნაპრალით წყალი გაედინება. გაჭირვებით გადავედით ნაპრალში გაჩხირულ მოქანავე ხეზე და შევანათეთ სანთელი. სანთლის შუქზე ალაპლაპდა წყლის ზედაპირი. მოულოდნელმა სტუმრობამ ბაყაყი დააფრთხო და შემზარავი კრიახი ატეხა. მაცდურად ისმოდა შიგნიდან წყლის წვეთებისა და მდინარის ჩხრიალის ხმა. აქ შეძვრომა არ შეიძლებოდა. უკანვე ამოვბრუნდით „უიმედო" ჰიდან.

ჩვენს წინაშე ახლა მაღალი, ვიწრო ნაპრალია, რომელშიც გვერდულად შეიძლება შეცოცდეს კაცი. ნაპრალი თანდათან გაფართოვდა, მაგრამ მოპირდაპირე მხრიდან სიბნელის ნაცვლად სინათლე შემოგვეგება. სინათლეები ჩავაქრეთ. გვეგონა გარეთ გამოვდიოდით, რომ მარჯვენა მხრიდან შემომავალ ტალანში გადავედით. მივყევით მას და თოკებით შვეულ კლდეზე, მოზრდილ დარბაზში შევედით. აქ ხვრელების ლაბირინთია. სათითაოდ გავშინჯეთ ყველა, მაგრამ ამაოდ. ყველანი დახურული აღმოჩნდა. ყურადღება სანთლის ალის რხევამ მიიპყრო. მაშასადამე მღვიმეში ჰაერის მოძრაობაა, მღვიმეს აქვს გაგრძელება! ნიავის ნაკადს ჩვენამდე წყლის კასკადის ხმაური მოჰქონდა. სასწრაფოდ შლამისგან ამოვსებული მუჰისოდენა ხვრელი გავაფართოვეთ. ცოცვით მივყვებით წყლის ხმას. შემდეგ ვერტიკალურ კვალს ავყევით. ახლა ჰაერს ჰორიზონტალური ლულიდან უკვე გარკვევით მოჰქონდა ჩანჩქერის ხმა. გავძვერით ხუთმეტრიან ლულაში, გავიარეთ პატარა ქვაბულები და ჩავეშვით ვიწრო ნაპრალებით ქვევით. მდინარე! ჩანჩქერი ტბაში ეშვებოდა, რომელიც პირველად იხილა ადამიანის თვალმა. შესასვლელი მდინარის მიწისქვეშა ხეობაში მოძებნილია! ისე ვიყავით ნერვიულად აღგზნებული, რომ მეტის გაკეთების უნარი აღარ გვქონდა.

საჭირო იყო იმ ძირითადი ტექნიკური სიძნელეების დადგენა და გათვალისწინება, რომლებიც მოსალოდნელი იქნებოდა მღვიმეში ჩაღწევის დროს. გადავწყვიტეთ დაზვერვის მიზნით ერთხელ კიდევ შევსულიყავით მღვიმეში. ამჯერად ჩვენ დაგვემატენ დ. გურგენიძე, ა. ლოლაძე და გ. არჩვაძე. ნაცნობი ხვრელების გავლის შემდეგ გადავადექით მდინარის მიწისქვეშა ხეობას. ჩავეშვით შვეულ კლდეზე, რომელზეც, ალბათ, ოდესღაც ჩანჩქერი ჩადიოდა, და ვიწრო თაროებით გადავედით დარბაზის ერთ კუთხეში მდგარ კვარცხლბეკზე. დარბაზი მრგვალი მოყვანილობისაა, მასში ჩანჩქერი ეშვება და აჩენს ტბას. ჩავეშვით ჩქერალზე და დგაფუნით მივყევით მდინარის დინებას. ჩვენამდე აღწევს შორეული ჩანჩქერის ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდება. უკვე ჩანჩქერის თავზე ვართ. სინათლე ბუნდოვნად ანათებს ქვევით. ჩანჩქერის თავზე უზარმაზარ ხეს გამოვდევით თოკი და ჩავეშვით. თავზე გამეტებით გვცემს წყალი.

(გაგრძელება იქნება).

ვ. გაბელაშვილი,
ტყიბულის სპელეოლოგიურ-სპორტული ჯგუფის ხელმძღვანელი

ფეხბურთის ახალი კადრები

ევროპის ჩემპიონატის წინ

დიდ ინტერესს იწვევს ევროპის მორიგი ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, რომელშიც როგორც ცნობილია, პირველად მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა ფეხბურთელები. ეს შეჯიბრება ჩატარდება მომავალ წელს არა იტალიაში, როგორც ადრე იყო ცნობილი, არამედ პორტუგალიაში.

ევროპის ქვეყნებში უკვე დაიწყეს მზადება ამ თვალსაჩინო შეჯიბრებებისათვის. უნგრეთის ჭაბუკთა გუნდი, რომელიც გაცხოველებულ წვრთნას გადის, შედგენილია პირველი ლიგის საკმაოდ ცნობილი მოთამაშეებისაგან. მეკარე სენტმიხალი ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე მეორე უნგრელ მეკარედ ითვლება სახელოვანი გროშიჩის შემდეგ და ზოგჯერ პირველ ნაკრებში გადის წვრთნაზე. თავდამსხმელ ფარკაშზე დიდ იმედს ამყარებს მწვრთნელი ბაროტი. უნგრეთის გუნდი პირველი პრიზის ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება.

ძლიერი კოლექტივები ყავთ სხვა ქვეყნებსაც. ინგლისის „მარშანდელი ჭაბუკები" წელს უკვე ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ. მაგრამ მათ შემცვლელებსაც საკმაო გამოცდილება გააჩნიათ. საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ჭაბუკთა გუნდების ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობენ ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელები.

კარს იცავს ზამორა

24 წლის რიკარდო ზამორა, მსოფლიოში ცნობილი მეკარის რიკარდო ზამორას შვილი, დაადგა მამის კვალს და ცნობილი ოსტატი გახდა. ჟურნალ „ფუსბალ ვოჰეს" მიმომხილველის ცნობით, იგი დიდად წააგავს თავის მამას და წარმატებით იცავს ერთ-ერთი ესპანური გუნდის „მალორკას" კარს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი არაფრით გამოირჩევა ესპანეთში, იგი ახლა ერთერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება.

ჭაბუკი მეკარე ფეხბურთს თამაშობს თავისი მამის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ, რაც უფროსმა ზამორამ თამაშს თავი დაანება, მისი ოცნება იყო შვილი სახელოვანი ოსტატი გამხდარიყო.

● **ათენი.** საბერძნეთის საჭადრაკო ჩემპიონატში გაიმარჯვა თ. ანასტასოპოულომ, რომელმაც 9,5 ქულა მოაგროვა 13-დან.

● **ლაიჩესტერი.** ინგლისის პირველობა გაიმართა შვეიცარიული სისტემით. ჩემპიონის სახელი მესამედ მოიპოვა ახალგაზრდა ოსტატმა პენროუზმა (8,5 ქულა 11-დან), რომელმაც, სხვათა შორის, ამას წინათ ოლიმპიადაზე მოუგო პარტია მსოფლიო ჩემპიონ მ. ტალს.

● **პერუჯია.** იტალიის ჩემპიონატში მონაწილეობდა 24 მოჭადრაკე. ჩემპიონის ვინაობა გაურკვეველი დარჩა, რადგან 7,5 ქულით პირველ-მეოთხე ადგილები გაიყვეს კაპელომ, პაოლიმ, ნორჩმა და ჯუსტოლიზიმ.

● **კირუნა.** შვეციის საჭადრაკო ჩემპიონატში პირველი ადგილი გაიყვეს ოსტატებმა ლუნდინმა, ნილსონმა და იოჰანსონმა დამატებით შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 56 წლის ლუნდინმა.

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის ქალთა ჩემპიონატში დამაჯერებლად პირველი ადგილი დაიკავა ლაზარევიჩმა.

● **ვენრაია.** ჰოლანდიის ქალთა ჩემპიონატში მოხდა სენსაცია: ჰოლანდიის 21 გზის ჩემპიონი ოსტატი ჰეემსკერკი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს ტიმმა და ვრეკენმა.

● **სენ ლუი.** ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში, რომელშიც 174 მოჭადრაკე მონაწილეობდა, პირველი ადგილი დაიკავა რ. ბირნმა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ბენკომ და პოშელმა, ხოლო მეოთხე-მეექვსე ადგილები — ბისჰაიერმა, შერივნმა და სეიდმა.

● **დუბლინი.** ირლანდიის ჩემპიონი გახდა ოსტატი რეილი.

რედაქტორი ი. უბულავა.

20 ნოემბერი

»მანთიადი«
(საქართველო)—
პოლონეთის
პროფკავშირების
ნაკრები

შეჯიბრება ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში

მონაწილეობენ: მ. ლუდუშაური, დ. გვანცელაძე, ა. ქორიძე, რ. აბაშიძე, ზ. შეყრილაძე, ო. ებაძე და სხვ.

დასაწყისი 20 ს.

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ფეხბურთის სპორტსკოლა აწარმოებს ნორჩ ფეხბურთელთა შერჩევასა და მიღებას.

შერჩევა წარმოებს შემდეგი წესით. ნორჩი მეკარეების შერჩევას აწარმოებს სპორტის ოსტატი ა. დოროხოვი ყოველ ხუთშაბათს 15 საათიდან და კვირადღეს 10 საათიდან ლენინის სახ. სტადიონზე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. პანიუკოვი აწარმოებს ნორჩ ფეხბურთელთა შერჩევას ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით 15 საათიდან, შაუმიანის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე.

შესარჩევად მიიღებიან 1946-47-48 წლებში დაბადებული ბავშვები.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05341